Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში
#31, თებერვალი, 2026

ნატივისტური განწყობების კვლევა გორის მუნიციპალიტეტის დასახლებების მაგალითზე

ალექსანდრე ღონღაძე

დიმიტრი მირაზანაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათ ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: aleksandre.ghonghadze341@sps.tsu.edu.ge

E-mail: dimitri.mirazanashvili010@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ულტრამემარჯვენე მოძრაობების გაძლიერება გავლენას ახდენს ამჟამინდელი მსოფლიოს პოლიტიკურ კონფიგურაციაზე, რაც აქტუალურს ხდის მის კვლევას როგორც პოლიტიკურ, ისევე საზოგადოებრივ დონეებზე. გამომდინარე საქართველოში ულტრამემარჯვენე ძალების გააქტიურებითა და ქართულ საზოგადოებაში მათი გავლენის ეტაპობრივი ზრდისა, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ულტრამემარჯვენეობის განმაპირობებელი ღირებულებების კვლევა. კას მუდე ავითარებს ნატივიზმის (Nativism) თეორიულ კონცეფციას - ადგილობრივი მოსახლეობის ექსკლუზიური უფლებებისა და ეროვნული უპირატესობების რწმენა, რომელიც შედგება ქსენოფობიისა და ეთნიკური შინაარსის ნაციონალიზმისგან - რომელიც მიიჩნევა ულტრამემარჯვენეობის ერთ-ერთ უმთავრეს განმაპირობებელ ფაქტორად (Mudde, 2007). ნაშრომი მიზნად ისახავს ნატივისტური საზოგადოებრივი შეხედულებების გაანალიზებას საქართველოს კონტექსტში, კერძოდ გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, რომელიც კონფლიქტგამოვლილი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, უსაფრთხოების, იდენტობისა და „სხვაობის“ საკითხების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარე სივრცეს წარმოადგენს. რაოდენობრივი ანკეტირების მეთოდის გამოყენებით ჩატარდა გორისა და კარალეთ-ხელთუბნის საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც ნატივისტური შეხედულებების კვლევას გულისხმობს მისი განმსაზღვრელი ინდექსების საფუძველზე, რომლებიც მოძიებულია ვალიდური აკადემიური კვლევებიდან. ნაშრომში გაანალიზებული მიგნებები ცხადყოფს, რომ ნატივისტური შეხედულებები გორის მუნიციპალიტეტში მხოლოდ იზოლირებულ ჯგუფებს არ უკავშირდება და ვლინდება სხვადასხვა სოციალური და დემოგრაფიული კატეგორიის ფარგლებში. ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავებები მთლიანობაში მკვეთრად არ იკვეთება, რაც მიუთითებს ნატივისტური განწყობების სივრცობრივ თანხვედრაზე. კვლევა აჩვენებს, რომ უსაფრთხოების აღქმა, იდენტობის პოლიტიკა და ისტორიული კონფლიქტის მემკვიდრეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნატივისტური და, უფრო ფართოდ, ულტრამემარჯვენე ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბებაში თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში.

საკვანძო სიტყვები: ულტრამემარჯვენეობა, ნატივიზმი, ქსენოფობია, გორი, ეთნოცენტრიზმი.

შესავალი

ბოლო წლებში, ევროპის მასშტაბით, ულტრამემარჯვენე პარტიებისა და მოძრაობების გაძლიერება ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ტენდენციაა, რამაც გავლენა იქონია ევროპაში ეროვნული ხელისუფლებების ფორმირებაზე (Passuello, 2024) - ამ ძალებმა არაერთ ქვეყანაში შეძლეს ამომრჩევლის მნიშვნელოვანი ნაწილის მობილიზება ანტიიმიგრაციული, ევროსკეპტიკური და ნაციონალისტური გზავნილების მეშვეობით, რაც აისახა როგორც ეროვნულ არჩევნებზე, ისე ევროპარლამენტის პოლიტიკურ კონფიგურაციაზე (Becker, Flach & von Ondarza, 2025). ამ კონტექსტში ულტრამემარჯვენე იდეოლოგიები აღარ წარმოადგენენ მხოლოდ მარგინალურ ფენომენს, არამედ სულ უფრო ხშირად ინტეგრირდებიან მთავარ პოლიტიკურ დისკურსში და გავლენას ახდენენ პარტიულ კონკურენციაზე, საჯარო პოლიტიკასა და დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე (Mudde, 2019; Deutsche Welle, 2025).

აკადემიური კვლევებისა და მედიის ანალიზი მიუთითებს, რომ ულტრამემარჯვენე ძალების წარმატება არა მხოლოდ მათი ელექტორალური მხარდაჭერის ზრდაში, არამედ იმაშიც გამოიხატება, რომ

ცენტრისტული პარტიები ხშირად იძულებულნი ხდებიან საკუთარ რიტორიკასა და პოლიტიკას ამ მიმართულებით გადახედონ (Deutsche Welle, 2025; Euronews, 2024; Abou-Chadi T, Krause W, 2018)

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ულტრამემარჯვენეობის კვლევა მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებებში. დასავლური დემოკრატიების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ულტრამემარჯვენე იდეები აღარ შემოიფარგლება მარგინალური ჯგუფებით და სულ უფრო ხშირად იძენს საზოგადოებრივ ლეგიტიმაციას, განსაკუთრებით მიგრაციის, უსაფრთხოებისა და იდენტობის პოლიტიკის გარშემო გამწვავებული დებატების ფონზე (Cave & Roberts, 2017; Thompson, 2021).

საქართველოს შემთხვევაშიც, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური და ინსტიტუციური კონტექსტისა, ულტრამემარჯვენე ჯგუფების გააქტიურება შესამჩნევია. ბოლო წლების განმავლობაში საჯარო სივრცეში გამოჩნდნენ მოძრაობები და პოლიტიკური აქტორები, რომლებიც ავრცელებენ ანტი-ლიბერალურ, ნაციონალისტურ და რადიკალურ რიტორიკას, მათ შორის მედიის, ქუჩის აქციებისა და პოლიტიკური ორგანიზების გზით (ტაბატაძე, 2020). დამოუკიდებელი ანალიტიკური ორგანიზაციებისა და მედიის შეფასებით, განსაკუთრებით თვალსაჩინოა Alt-Info-ს ირგვლივ ჩამოყალიბებული ულტრამემარჯვენე ქსელი, რომელმაც სცადა ინსტიტუციურ პოლიტიკაში ინტეგრირება და საზოგადოებრივი დღის წესრიგის ფორმირებაზე ზემოქმედება (OC Media, 2025; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022). მიუხედავად იმისა, რომ ამ ძალების ელექტორალური მხარდაჭერა ჯერჯერობით შეზღუდულია, მათი გავლენა საზოგადოებრივ დისკურსზე და დემოკრატიულ ნორმებზე მნიშვნელოვან კვლევით და პოლიტიკურ გამოწვევად რჩება (ტაბატაძე, 2020).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ულტრამემარჯვენე ძალები ჯერ სრულად ინსტიტუციონალიზებული არ არის, შესაბამისი რიტორიკა და ღირებულებითი ჩარჩოები სულ უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება საზოგადოებრივ დისკურსში, განსაკუთრებით იდენტობის, მიგრაციისა და შიდა უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით (Tabatadze, 2021). ქართული აკადემიური ლიტერატურა მიუთითებს, რომ ულტრამემარჯვენეობის კვლევა ქვეყანაში ჯერ კიდევ ფრაგმენტულია და ხშირად ფოკუსირდება ორგანიზებულ ჯგუფებზე, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი დამოკიდებულებების დონე შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი (Tabatadze, 2020).

ულტრამემარჯვენე იდეების კვლევისას მნიშვნელოვანია კას მუდეს თეორიული კონცეფციის გათვალისწინება, რის მიხედვითაც ულტრამემარჯვენეობას გააჩნია კონკრეტული განმაპირობებელი ფაქტორები: ავტორიტარიანიზმი, პოპულიზმი, ნატივიზმი (Mudde, 2007). საინტერესოა ნატივიზმის ფენომენი, რომელიც მუდესთან შედგება (ეთნიკური) ნაციონალიზმისა და ქსენოფობიის იდეური საფუძვლების გაერთიანებით და გულისხმობს კონკრეტულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის ექსკლუზიურ უფლებებზე, რაც მათ გააჩნიათ მომხდურთაგან განსხვავებით (Mudde, 2007). ამრიგად, ერი-სახელმწიფო უპირველესად ეკუთვნის „ადგილობრივ“ მოსახლეობას და რომ ეთნიკური, კულტურული ან რელიგიური „სხვაობა“ საფრთხეს უქმნის ეროვნულ ერთიანობასა და სოციალურ წესრიგს (van der Veer et al., 2011; Neto & Neto, 2022). მოცმული თვალსაზრისით, ნატივიზმი მჭიდროდ უკავშირდება ეთნონაციონალიზმს და ხშირად თანხვედრაში მოდის ანტიიმიგრაციულ და ექსკლუზიონისტურ ნარატივებთან (Thompson, 2021).

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ულტრამემარჯვენე ღირებულებათა პრედიქტორების კვლევა საზოგადოებრივი პარადიგმიდან. ვთვლით, რომ ქვეყანაში, რომელმაც უკანასკნელ ათწლეულებში საკუთარ თავზე გამოსცადა ეთნიკური ხასიათის კონფლიქტი (Welt, 2004), რამაც მას დააკარგვინა გარკვეულ რეგიონებზე დე-ფაქტო კონტროლი, ნატივისტური შეხედულებების საზოგადოებაში კვლევა, იქონიებს ულტრამემარჯვენე იდეებისადმი მოქალაქეთა მიდრეკილებაზე, განსაკუთრებით ომგამოვლილ რეგიონებში. ამ უკანასკნელმა ფაქტმა გვიბიძგა შიდა ქართლის რეგიონითა და კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის დასახლებებით დაინტერესებისკენ, რომლის მოსახლეობაც შეესწრო 2008 წლის კონფლიქტს, ხოლო დევნილთა ნაწილი მუნიციპალიტეტის სოფლებშიც დასახლდა (არაბული, 2023). გასათვალისწინებელია ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, რომელიც დღემდე რჩება მუდმივი დაძაბულობისა და უსაფრთხოების განცდის დარღვევის საფუძვლად. აღნიშნული გარემოებები ქმნის რეალობას, სადაც საფრთხის აღქმა, ტერიტორიული დაუცველობა და საკუთარის დაცვის მოთხოვნილება ყოველდღიური გამოცდილების ნაწილია. (აფციაური, 2022).

ამავე დროს, აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ულტრამემარჯვენეობის მიმართ დამოკიდებულების სრულყოფილი სურათის მისაღებად არასაკმარისია მხოლოდ ნატივიზმის კვლევა. თეორიული ჩარჩოდან გამომდინარე, ისეთივე მნიშვნელობა აქვს სხვა პრედიქტორებს - ავტორიტარიზმსა და პოპულიზმს (Mudde, 2007). ამრიგად, მოცემულ ნაშრომში უშუალოდ ნატივისტური შეხედულებების მიმოხილვას ეთმობა ქალაქ გორსა და მის სოფლებში.

მეთოდოლოგია

კვლევისთვის შევარჩიეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი: კერძოდ, რესპონდენტთა რაოდენობრივი ანკეტირება სტრუქტურირებული კითხვარებით, კარდაკარ სიარულის პრინციპით, რის ფარგლებშიც ჩავატარეთ საველე სამუშაოები ქალაქ გორში და ამავე მუნიციპალიტეტის სოფლებში - კარალეთი და ხელთუბანი. დაიგეგმა 150 რესპონდენტის გამოკითხვა, 100 ქალაქ გორში, 25-25 ხელთუბანსა და კარალეთში.

რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა არაალბათური მიზნობრივი შერჩევის მეთოდით სამივე დასახლებაში, ბიჯი შეადგენდა 5 სახლს/კორპუსს. თუმცა, გარკვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე, სოფლებში ჩატარდა ხელმისაწვდომი შერჩევა

საველე სამუშაოების თარიღი: 28 აგვისტო - 1 სექტემბერი.

საველე სამუშაოების პროცესში გამოვლინდა გარკვეული სირთულეები და უხერხულობები, რამაც გვიბიძგა მონაცემთა შეგროვების გაგრძელება. ვინაიდან ველზე მუშაობა შევძელით უნივერსიტეტის დაფინანსებით, რაც ცალსახად არასაკმარისი აღმოჩნდა შესაბამისი რაოდენობის რესპონდენტთა გამოსაკითხად (ველზე გამოიკითხა 28 მოქალაქე), გადავწყვიტეთ ონლაინ-ანკეტირების კომპონენტი შემოგვეტანა, რითაც მონაცემთა ბაზის გაზრდას შევძლებდით, ღირებული სტატისტიკური განსხვავების საჩვენებლად. ონლაინ-ანკეტირების პერიოდი მოიცავს 10 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე პერიოდს (შეზღუდვების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ შესაბამის გრაფაში)

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ სტრუქტურირებული კითხვარი, რითაც მოხდა რესპონდენტთა გამოკითხვა. კითხვარი შედგებოდა 4 ბლოკისგან, რომელთაგანაც პირველი იყო სტანდარტული დემოგრაფიული ბლოკი, რის შედგენისა დავეყრდენით და გამოვიყენეთ კავკასიის ბარომეტრის 6 კითხვა (იხ. დანართი N2); ხოლო სამი თემატური ბლოკი პირდაპირ უკავშირდება კას მუდეს მიერ განსაზღვრულ ნატივიზმის ინდიკატორებს - ქსენოფობია, ეთნონაციონალიზმი, აგრეთვე ეთნოცენტრიზმი (ინდიკატორი რომელზედაც მუდე განცალკევებულად არ საუბრობს, მაგრამ რომელიც (ნეტოსა და ნეტოს) სტატიის მიხედვით იმდენად კარგად ეწყობოდა ნატივიზმის ექსკლუზიონისტურ ხასიათს, რომ ამის საფუძველზე გადაწყვეტილი იქნა მუდეს ინდიკატორებისთვის მესამეს დამატება, ეთნოცენტრიზმის სახით) - რომლებიც ამოვიწერეთ შესაბამისი აკადემიური სტატიებიდან: ქსენოფობიის ინდექსის მივუთითეთ ვან დერ ვეერისა და სხვების სტატიის მიხედვით (van der Veer et al., 2011), ეთნოცენტრიზმის ნეტოსა და ნეტოს (Neto & Neto, 2022), ხოლო ეთნონაციონალიზმის ტომპსონის (Thompson, 2021). თემატური ბლოკების კითხვარებში გამოვიყენეთ 5 ქულიანი ლიკერტის სკალა. გარდა ამისა, ეთნოცენტრიზმის გრაფაში გამოყენებულ იქნა 9 ქულიანი ლიკერტი, მონაცემთა დამუშავების პროცესის დასამუშავებლად გადავაკონვერტირეთ 5 ქულიან ლიკერტად.

შეგროვებული მონაცემები დაანგარიშებულ იქნა SPSS პროგრამის მეშვეობით, სადაც მონაცემები პარალელური შეყვანის პრინციპით შევიყვანეთ, რათა მინიმუმამდე დაგვეყვანა შესაძლო უზუსტობანი; დამუშავებისას გამოვითვალეთ თითოეული შინაარსობრივი კითხვარის საშუალო ქულა, ხოლო შემდეგ დავადარეთ თემატური გრაფების ქულები დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით, რათა ასახულიყო სტატისტიკურ დონეზე არსებული განსხვავება.
ამავე პროგრამის შეშვებით გამოვითვალეთ თითოეული ინდექსის სანდოობა კრონბახის ალფის მეთოდით:

ქსენოფობიის ინდექსი - 0.819 (მაღალი სანდოობა)
ეთნოცენტრიზმის ინდექსი - 0.823 (მაღალი სანდოობა)
(ეთნო)ნაციონალიზმის ინდექსი - 0.674 (დამაკმაყოფილებელი სანდოობა)

ონლაინ-ანკეტირების შემთხვევაში მოხერხდა როგორც შერჩევის წესის, ისევე ბიჯის დაცვა, ვინაიდან თითოეულ რესპონდენტს Google Forms-ში გადატანილი კითხვარის ბმული გადაეგზავნა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, Facebook Messenger-ის, WhatsApp-ის, ან E-mail-ის საშუალებით (რესპონდენტის სურვილიდან გამომდინარე).

კვლევის შეზღუდვა

კვლევას გააჩნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური შეზღუდვა, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისას.

პირველ რიგში, კვლევის მონაცემების რეპრეზენტატულობა შეზღუდულია. რესპონდენტების მაღალი უარის მაჩვენებელმა, შერჩევის განსხვავებულმა სტრუქტურამ ქალაქსა და სოფლებში, აგრეთვე მონაცემთა შეგროვების შერეულმა ფორმატმა (პირისპირ და ონლაინ ანკეტირება) შეამცირა

შესაძლებლობა, მიღებული შედეგები სრულად განზოგადდეს გორის მუნიციპალიტეტის მთლიან მოსახლეობაზე.

მეორე, დაგეგმილი შერჩევის ბიჯის დაცვა სრულად განხორციელდა მხოლოდ ქალაქ გორში, მაშინ როდესაც კარალეთსა და ხელთუბანში დაბალი ხელმისაწვდომობის გამო შერჩევის პროცედურა ნაწილობრივ მოდიფიცირდა, რამაც გამოიწვია ქვეჯგუფებს შორის სტრუქტურული ასიმეტრია.

მესამე, საველე სამუშაოების მიმდინარეობისას დაფიქსირდა - არ მსურს პასუხის გაცემა (უარი პასუხზე) მაღალი რისკი, რაც უკავშირდებოდა კვლევის თემის პოლიტიკურ სენსიტიურობასა და ინტერვიუერების შესაძლო პოლიტიკურ მოტივაციასთან დაკავშირებულ ეჭვებს.

დამატებით, დროითი და ფინანსური რესურსების შეზღუდულობამ შეამცირა ველზე მონაცემების შეგროვების შესაძლებლობა და განაპირობა მონაცემთა შეგროვების შერეული მეთოდის გამოყენება, რაც შესაძლოა გავლენას ახდენდეს პასუხების ერთგვაროვნებასა და მონაცემთა შედარებადობაზე.

აღნიშნული შეზღუდვები ზღუდავს კვლევის შედეგების ფართო გენერალიზაციის შესაძლებლობას და საჭიროებს სიფრთხილეს დასკვნების ფორმულირებისას.

კვლევის მიზნები

1.) კვლევის მიზანია გორის, კარალეთისა და ხელთუბნის მოსახლეობაში ნატივისტური საზოგადოებრივი შეხედულებების გავრცელებისა და მახასიათებლების შესწავლა,

2.) გამოკვეთილი ნატივისტური განწყობების ანალიზი ძირითად დემოგრაფიულ ფაქტორებთან და ტერიტორიულ ტიპთან (ქალაქი/სოფელი)

ამოცანები:

1.) განისაზღვროს ნატივისტური დამოკიდებულებების დონე და სტრუქტურა გორის, ხელთუბნისა და კარალეთის მოსახლეობაში.

2.) გამოვლინდეს ნატივისტურ შეხედულებებსა და ძირითად დემოგრაფიულ მახასიათებლებს შორის არსებული კავშირები.

3.) შეფასდეს განსხვავებები ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის ნატივისტური დამოკიდებულებების თვალსაზრისით.

4.) გამოვლინდეს ნატივიზმის შესაძლო განმაპირობებელი სოციალური ფაქტორები ადგილობრივ კონტექსტში.

კვლევის კითხვები:

1.) რამდენადაა გავრცელებული ნატივისტური შეხედულებები გორში, კარალეთსა და ხელთუბანში?

2.) არსებობს თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ნატივისტურ დამოკიდებულებებსა და ძირითად დემოგრაფიულ მახასიათებლებს შორის?

3.) რა სახის მსგავსება/განსხვავებაა ნატივისტურ დამოკიდებულებებში მოცემულ ქალაქისა და სოფლების მოსახლეობას შორის?

გამოიკვეთა ორი ჰიპოთეზა:
H1: ნატივისტური დამოკიდებულებები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

H2: ნატივისტური დამოკიდებულებების დონე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის.

თეორიული ჩარჩო

მოცემული კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება კას მუდეს კონცეპტუალურ მიდგომას, რომლის მიხედვითაც რადიკალური მემარჯვენეობა არ წარმოადგენს შემთხვევით ან კრიზისზე დამოკიდებულ პოლიტიკურ რეაქციას, არამედ არის იდეოლოგიურად სტრუქტურირებული ფენომენი. მუდე ულტრამემარჯვენეობის იდესა განსაზღვრავს როგორც ე.წ. თხელცენტრიან იდეოლოგია*ს*, რომელიც დამოუკიდებლად ვერ ფუნქციონირებს და ყოველთვის ერთიანდება უფრო ფართო იდეოლოგიურ ჩარჩოებთან, განსაკუთრებით ნაციონალიზმსა და ავტორიტარიზმთან (Mudde, 2007). ამ მიდგომის ბირთვს ქმნის სამი ურთიერთდაკავშირებული კონცეპტი: ნატივიზმი, ავტორიტარიანიზმი და პოპულიზმი. ნატივიზმი საზოგადოებას წარმოაჩენს როგორც კულტურულად ჰომოგენურ ერთობას და ლეგიტიმურ პოლიტიკურ სუბიექტად მხოლოდ „ნატივისტურ“ - ადგილობრივ - წევრებს აღიარებს. ავტორიტარიანიზმი ამყარებს მკაცრი სოციალური წესრიგის, ძლიერი სახელმწიფო აპარატის მშენებლობის მეშვეობით, ხოლო პოპულიზმი პოლიტიკურ სივრცეს ყოფს მორალურ „უბრალო ხალხად“ და „ამორალურ ელიტად“ (Mudde, 2007). მუდეს თეორიაში არსებითია განსხვავება რადიკალურ და ექსტრემისტულ მემარჯვენეობას შორის. რადიკალური მემარჯვენე აქტორები ფორმალურად აღიარებენ დემოკრატიულ ჩარჩოს, თუმცა ეწინააღმდეგებიან ლიბერალური დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა უმცირესობათა უფლებები და პოლიტიკური პლურალიზმი. ამგვარი დიფერენციაცია საშუალებას იძლევა ულტრამემარჯვენე ძალების ანალიზი განხორციელდეს არა მხოლოდ იდეოლოგიური რადიკალიზმის, არამედ მათი ინსტიტუციური ინტეგრაციის პოტენციალის მიხედვით (Mudde, 2007). ამასთან, მუდე უარყოფს ახსნას, რომელიც ულტრამემარჯვენეობის გაძლიერებას მხოლოდ ეკონომიკურ უკმაყოფილებას ან კრიზისულ კონტექსტს უკავშირებს. მისი ხედვით, თანამედროვე ულტრამემარჯვენეობა სულ უფრო მეტად ექცევა ნორმალიზაციის პროცესში, როდესაც მისი იდეები ინტეგრირდება მთავარ პოლიტიკურ დისკურსში და გავლენას ახდენს პოლიტიკის ფორმირებაზე ლიბერალური ჩარჩოს შიგნით (Mudde, 2019). აღნიშნული თეორიული პერსპექტივა ქმნის საფუძველს ულტრამემარჯვენე აქტორების ანალიზისთვის, როგორც სისტემური და არა მარგინალური პოლიტიკური ძალების.

ლიტერატურის მიმოხილვა

ვინაიდან ჩვენი საკვლევი თემა უშუალოდ გამომდინარეობს ულტრამემარჯვენეობის ფენომენიდან, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ამ თემაზე არსებული როგორც ქართული, ისევე საერთაშორისო ლიტერატურის დამუშავება. ულტრამემარჯვენე რიტორიკა საქართველოში ხშირად რეაგირებს გარე

საფრთხეების აღქმაზე - მათ შორის გლობალიზაციაზე, მიგრაციასა და დასავლური ლიბერალური ღირებულებების გავრცელებაზე (Tabatadze, 2021). ავტორი აღნიშნავს, რომ ასეთი რიტორიკა ქმნის იდეურ ნიადაგს ნატივისტური შეხედულებების გასავრცელებლად, მიუხედავად იმისა, რომ თავად ტერმინი „ნატივიზმი" ქართულ ლიტერატურაში იშვიათად გამოიყენება (Tabatadze, 2021). შეინიშნება, განსხვავებით პარტიული და ინსტიტუციანოლურ დონეებისა, ხოლო ულტრამემარჯვენეობის პრედიქტორების კვლევის სიხშირე კი დამოკიდებულია კონკრეტული ავტორის ტიპოლოგიის შემადგენლობასა და მათ მიმართ არსებულ დამოკიდებულებებზე. კერძოდ, ავიღოთ მუდესეული ნატივიზმი, რომელიც ბუნებრივია დაკავშირებულია ნატივიზმის უფრო ადრინდელ კვლევებთან, თუმცა, ამ სახის ლიტერატურაში უფრო მეტად გვხვდება აქცენტი ისეთ თემებზე, როგორებიცაა რასიზმი, ანტიიმიგრაციული განწყობები, ანტიგლობალიზმი, კეთილდღეობის შოვინიზმი ა.შ. (Mudde, 2007), თუმცა მთავარი უცვლელია - ნატივიზმი ფაქტობრივად ყველა კონტექსტში გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის ექსკლუზიურ პოლიტიკურ უფლებებზე, რაც შეიძლება გამოვლინდეს სხვათა დისკრიმინაციის სახით (Mudde, 2007). რახანს კვლევა კონცენტრირებულია ულტრამემარჯვენეობის კონკრეტულ პრედიქტორზე - ნატივიზმზე, მასთან დაკავშირებული ლიტერატურის ძიებისას მივიჩნიეთ, რომ ნატივიზმის ინდექსები არ შეესაბამებოდა მუდესეულ ხედვას, რის შედეგადაც გადაწყდა მისი განმაპირობებელი ცნებების - ქსენოფობიისა და (ეთნო)ნაციონალიზმის, აგრეთვე ეთნოცენტრიზმის (რაზედაც მუდე პირდაპირ არ საუბრობს, თუმცა ცნების შინაარსიდან გამომდინარე, იგი უშუალოდ ესადაგება ნატივისტურ დამოკიდებულებებს) ინდექსების ცალ-ცალკე მოძიება და შედეგად, კომბინირებული კითხვარის აწყობა, რათა უფრო დეტალურად ჩავძიებოდით მოცემულ საკვლევ თემას. ვან დერ ვეერი და სხვები, თავიანთი კვლევით გვთავაზობენ ქსენოფობიის კვლევის უნივერსალურ ჩარჩოს იმ დასავლური ქვეყნებისთვის, რომლებიც აქტიურად იღებენ იმიგრანტებს (Van der Veer et al., 2011) მართალია, ჩვენ ვერ გავუტოლებთ საქართველოს დადებითი დემოგრაფიული სალდოს განვითარებულ დასავლურ ქვეყნებს, თუმცა ბოლო წლებში იმატა იმიგრანტთა რიცხვმა ჩვენს ქვეყანაში (წყარო რუსებისა და არაბ-ინდოლებზე), რის საფუძველზედაც დასაშვებად მივიჩნიეთ მათ ნაშრომზე დაყრდნობა. ამ კონკრეტულ კვლევაში, მათ მიერ გამოყენებული კითხვარი ქსენოფობიას განიხლავს, როგორც შიშზე დადუძნებულ ფენომენს, კროსკულტურული(ან ალბათ კულტურათაშორისი?) ინდექსის შემუშავების მიზნიდან გამომდინარე, ავტორებმა ჩთვალეს აქცენტი არ გაეკეთებინათ ქსენოფობიის სხვაგვარ გამოვლინებაზე, მაგალითად ახალმოსახლეთა მიმართ ზიზღის განმსაზღვრელ ინდიკატორებზე (Van der Veer et al., 2011).

მუდესეული ნატივიზმის მეორე შემადგენელი ნაწილი, ნაციონალიზმი, უფრო კონკრეტულად კი ეთნიკური ნაციონალიზმი, კონცეპტუალურად ასევე ასახავს ექსკლუზიონისტურ იდეებთან, რაც გამოიხატება მოქალაქის "ერთან" კუთვნილებაში. ტომპსონის კვლევა აჩვენებს, რომ ნაციონალისტური წარმოდგენები ძლიერი განმაპირობებელი ფაქტორია იმიგრანტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებებისა და ექსკლუზიონისტური პოლიტიკის მხარდაჭერისთვის (Thompson, 2021). ავტორის მიხედვით, ასეთი დამოკიდებულებები ხშირად არ არის განპირობებული მხოლოდ ეკონომიკური ან ინსტიტუციური ფაქტორებით, არამედ ეფუძნება ღირებულებით წარმოდგენებს „ერის", „კუთვნილებისა" და „ნამდვილი წევრობის" შესახებ (Thompson, 2021).

როგორც ვახსენეთ, კითხვარების კომბინირების პროცესზე მუშაობისას დავიხმარეთ მესამე კომპონენტი, ეთნოცენტრიზმის სკალის სახით. მუდე მასზე უშუალოდ არ საუბრობს, თუმცა მისი და ნატივიზმის

ურთიერთკავშირი კონცეპტუალურ დონეზე ცალსახაა. ნეტო და ნეტო ეთნოცენტრიზმს განიხილავენ როგორც საზოგადოებრივ დამოკიდებულებას, რომელიც გულისხმობს საკუთარი ეთნიკური ან კულტურული ჯგუფის ნორმებისა და ღირებულებების ცენტრალიზებულად წარმოჩენას და სხვა ჯგუფების შეფასებას სწორედ ამ „ცენტრის“ მეშვეობით (Neto & Neto, 2022). ამ დამოკიდებულების კვლევა აჩვენებს, რომ ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებები მჭიდროდ უკავშირდება კულტურული ჰომოგენურობის მოთხოვნას და განსხვავებული ჯგუფების მიმართ ნეგატიურ განწყობებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ იგი მივიჩნიეთ ნატივიზმის ერთ-ერთ კომპონენტად, თუ არა მის ლოგიკურ გაგრძელებად და მაშასადამე, ღირებულ ელემენტად ნატივიზმის ამხსნელ კომბინირებულ კითხვარში.

შედეგები

კვლევის შედეგად გამოვლინდა ცალსახა მიდრეკილება ნატივისტური შეხედულებების მიმართ. კონკრეტული ცვლადების მიხედვით გამოვლინდა ყველაზე ნატივისტური სოციალური ჯგუფები ქალაქსა და სოფლებში, რომლებიც სამივე ინდექსის ფარგლებში ავლენენ ყველაზე მკაფიო შეხედულებებს. მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მივიღეთ სტატისტიკურ დონეზე გამოვლენილი როგორც ცალსახა, ისე უმნიშვნელო განსხვავება. კონკრეტული რაოდენობრივი შედეგები ასახულია დანართის სახით წარმოდგენილ ჰისტოგრამებში, რომლებიც დავადარეთ დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით - სქესი, ასაკი, რელიგიური აღმსარებლობა, განათლება, სამსახურებრივი მდგომარეობა, დასაქმებული ოჯახის წევრების რაოდენობა.

სქესი

სქესის აღმნიშვნელი ცვლადის მიხედვით, ყველაზე მაღალი გაშუალედებული ქულა სამივე თემატურ ბლოკში. ქსენოფობიის ხუთქულიანი სკალის მიხედვით ჩანს, რომ ქალაქში მცხოვრები ქალები და კაცები უფრო ნატივისტურ პოზიციას ავლენენ, ვიდრე სოფელში. კერძოდ, ქალაქში დაახლოებით 4,6 ქულაა გამოვლენილი მინიმალური სტატისტიკური განსხვავებით სქესის ცვლადში, ხოლო სოფლის დაახლოებით 4, ასევე მინიმალური განსხვავებით (იხ. D1.1 ჰისტოგრამა) ეთნოცენტრიზმის ჰისტოგრამაზე გამოვლენილი შედარებით მრავალფეროვანი პოზიციები. გორის მოსახლეობაში ყველაზე ნაკლებ ეთნოცენტრული შეხედულებები მამაკაცებმა გამოავლინეს (2,6 დაახლოებით), ხოლო ყველაზე მაღალი ქალბატონებმა (3,4 დაახლ). ამავე დროს, ერთსულოვანი დამოკიდებულებებია სოფლის ქალებსა და კაცებს შორის, ვინაიდან ორივე ცვლადში (დაახლოებით 3,2). ერთი ნიშნულია ასახული. ამ მხრივ საინტერესო მიგნებაა ის, რომ გორელი ქალები სტატისტიკურად იმდენადვე ეთნოცენტრისტები არიან, როგორც სოფლების (კარალეთ-ხელთუბნის) მოსახლეობა. (იხ. D1.2 ჰისტოგრამა). ეთნონაციონალიზმის ჰისტოგრამა ეთნონაციონალიზმის ანალოგიურ სიტუაციას ასახავს. ქალაქელი მამაკაცები ყველაზე ნაკლებ ეთნონაციონალისტურ აზრს აფიქსირებენ (დაახლოებით 3,3), მაშინ, როდესაც გორელი ქალბატონები და სოფლის მოსახლეობა ყველაზე მკაფიოდ (დაახლოებით 4) ეთნონაციონალისტურ პოზიციას აფიქსირებენ (იხ. D1.3 ჰისტოგრამა).

ჰისტოგრამა D1.1 ჰისტოგრამა D1.2





ჰისტოგრამა D1.3



ასაკი

ასაკის აღმნიშვნელი ცვლადის მიხედვით, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება არის - მაგალითად, ქსენოფობიის მაჩვენებელი ქალაქში უფრო მაღალია, განსხვავებით ეთნონაციონალიზმისგან, რომელიც უფრო სოფლად ჭარბობს - ქსენოფობიური განწყობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 18-34 და 55+ წლის ქალაქში მცხოვრებ ადამიანებს გააჩნიათ - დაახლოებით 5 ქულა (იხილეთ D2.1 ჰისტოგრამა). ეთნოცენტრისტული ხედვების მაღალი მაჩვენებელი მკაფიოდაა გამოხატული სამივე ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა 55+ ასაკის ქალაქში მცხოვრები რესპონდენტები უფრო მაღალი მაჩვენებლის მქონენი არიან - დაახლოებით 3,5 ქულა. ეთნოცენტრიზმის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ქალაქად მცხოვრებ 18-34 წლის რესპონდენტებშია - 2,5 ქულა (იხილეთ D2.2 ჰისტოგრამა). ეთნონაციონალისტური განწყობით სოფლად მცხოვრები 35-54 და 55+ წლის ადამიანები გამოირჩევიან - დაახლოებით 4,3 ქულა. აღსანიშნავია ასევე 18-34 წლის ადამიანებში ეთნოცნაციონალიზმის უფრო დაბალი მაჩვენებელი - დაახლოებით 3,2 ქულა (იხილეთ D2.3 ჰისტოგრამა).

ჰისტოგრამა D2.1

ჰისტოგრამა D2.2





ჰისტოგრამა D2.3



აღმსარებლობა

მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული ბლოკის შესაბამისი კითხვა რამდენიმე კითხვისაგან შედგებოდა, მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა შეადგინეს შერჩევითი ერთობლიობის აბსოლუტური უმრავლესობა (51 რესპონდენტი), რის შედეგადაც ყველა სხვა ჯგუფი: არარელიგიური პირები, სუნიტი მუსლიმები და სხვა კატეგორიის მომნიშვნელი პირებისთვის (ჯამში 5 არამართლმადიდებელი რესპონდენტი) ცალკეული კატეგორიის გამოყოფის ნაცვლად, გადავწყვიტეთ მათი გაერთიანება "არამართლმადიდებელ რესპონდენტთა" კატეგორიაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლებში - კარალეთი და ხელთუბანი, მხოლოდ მართმადიდებელი რესპონდენტები გვყავდა.

შესაბამისი ცვლადის სქემაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმსარებლები ქსენოფობიის უმაღლესი ქულებით ხასიათდებიან, როგორც ქალაქში, ისე სოფელში; დასახლების ტიპების მიხედვით არ შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავება. შედარებით ნაკლებ ქსენოფობიურია არამართლმადიდებელ

რესპონდენტთა პასუხები, თუმცა ზოგადი სურათი არ ჩამოუვარდება მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებლებს (იხ. D3.1 ჰისტოგრამა)

ეთნოცენტრიზმის ბლოკის შედეგები არაა ისეთ მკვეთრი, როგორიც ქსენოფობიისა და (ეთნო)ნაციონალიზმისა; ქალაქის მცხოვრებ რესპონდენტების შორის განსხვავება პრაქტიკულად არ შეინიშნება, ხოლო სოფლებში დაფიქსირებული პასუხები შედარებით დაბალი ეთნოცენტულობით შეფასდა. (იხ. D3.2 ჰისტოგრამა)

ეთნონაციონალიზმის გრაფა, საკმაოდ მაღალი ქულებით ფასდება აღმსარებლობის ორივე კატეგორიასა და დასახლებაში, თუმცა ცხრილი აჩვენებს, რომ რესპონდენტების შეხედულებები უაღრესად მაღალ თანხვედრაშია ეთნონაციონალიზმის იდეებთან: ქალაქის მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ მოსახლეობას შორის პრაქტიკულად არ შეინიშნება არსებითი განსხვავება, ხოლო ქალაქისა და სოფლების რესპონდენტებს შორის განსხვავებები არც ისე დიდია (იხ. D3.3 ჰისტოგრამა).

ჰისტოგრამა D3.1



ჰისტოგრამა D3.2



ჰისტოგრამა D3.3



განათლება

განათლების საფეხურის აღმნიშვნელი ცვლადის მიხედვით, ქსენოფობიური განწყობა ქალაქში მცხოვრებ რესპონდენტებს აქვთ - განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სრული საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები - დაახლოებით 4,8 ქულა ორივე კატეგორიაში (იხილეთ D4.1 ჰისტოგრამა).

ეთნოცენტრისტული მიდრეკილება უფრო სოფლად მცხოვრებ, სრული საშუალო ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებთან ფიქსირდება - 4.2 და 4.3 ქულით. არასრული საშუალო, არასრული უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ხარისხის მქონე რესპონდენტებში ეთნოცენტრიზმი უფრო დაბალია და მერყეობს 3-3,2 ქულებს შორის (იხილეთ D4.2 ჰისტოგრამა).

ეთნონაციონალისტური ტენდენციებით, ერთნაირი და უმაღლესი მაჩვენებლებით ხასიათდებიან როგორც ქალაქად, ასევე სოფლად მცხოვრები სრული საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები - 5 ქულა ორივე კატეგორიასა და დასახლებული პუნქტის ტიპში. ეთნონაციონალიზმის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ქალაქში მცხოვრები სამეცნიერო ხარისხის მქონე რესპონდენტებშია - 3,5 ქულა (იხილეთ D4.3 ჰისტოგრამა).

ჰისტოგრამა D4.1



ჰისტოგრამა D4.2



ჰისტოგრამა D4.3



დასაქმება

დასაქმების ხარისხის მიხედვით რესპონდენტების პასუხების ანალიზისას შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა თემატური ბლოკების მიხედვით:

ქსენოფობიის ბლოკის მიხედვით, ყველაზე ქსენოფობიურად განწყობილები არიან დიდ თუ საშუალო ზომის კომპანიებში (თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქალაქში დასაქმებულები ნაკლებ იზიარებენ ქსენოფობიურ დამოკიდებულებებს), ასევე სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული პირები, ქალაქში

მცხოვრები თვითდასაქმებულები და სოფლად მცხოვრები საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულები. აგრეთვე მაღალი ქსენოფობიის ქულა ფიქსირდება სოფლად მცხოვრებ რესპონდენტებთან, რომლებმაც სხვა სახის სამსახურში არიან დასაქმებულები, თუმცა ანალოგიური პასუხის ქალაქად მცხოვრებ პირებს დაბალი ქსენოფობიის დონე ახასიათებთ. ყველაზე ნაკლებად ქსენოფობიური პირები ცხოვრობენ ქალაქში და კერძოდ ფლობენ ნაკვეთს, სადაც ასაქმებენ დაქირავებულ მუშახელს იხილეთ D5.1 ჰისტოგრამა

საინტერესოა ის, რომ ქსენოფობიის ბლოკში მინიმალური განსხვავებაა უმუშევარ რესპონდენტებსა და დასაქმებულ რესპონდენტებს შორის, რაც იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ გორის მუნიციპალიტეტში, უმუშევრობა არ განაპირობებს ქსენოფობიურ განწყობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესისა და ნაკვეთის მფლობელი რესპონდენტები ქალაქ გორში ცხოვრობენ, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულები სოფლად

ეთნოცენტრიზმის გრაფაში ვლინდება, რომ საკუთარი ბიზნესისა და ნაკვეთის მფლობელები დაბალ ეთნოცენტრულ შეხედულებებს ავლენენ. საშუალო ქულაზეა დაყვანილი საჯარო უწყებებისა და კერძო კომპანიებში დასაქმებულების ქულები. ყველაზე ეთნოცენტრული შეხედულებები აქვთ უცხოურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს. ყველაზე ნაკლებ ეს დამოკიდებულებები ვლინდება უმუშევარ და ბიზნესის მფლობელ ქალაქელ რესპონდენტებს შორის (იხილეთ D5.2 ჰისტოგრამა)

ეთნონაციონალიზმის გრაფაში ასახულია მოსახლეობის მიერ შესაბამისი შეხედულებების გაზიარების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, რაც ასახულია თითქმის ყველა ცვლადში, როგორც სოფლის მოსახლეთა, ისევე ქალაქში მცხოვრებთა შემთხვევაში. ყველაზე მცირე ნაციონალისტური განწყობები გვხვდება მიწის ნაკვეთის მფლობელთა შეხედულებებში. ყველაზე მეტად ნაციონალისტური დამოკიდებულებები ჩანს უმუშევარი სოფლის მოსახლეობის პასუხებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულთა შემთხვევაში. ზოგადი სურათის მიხედვით კი სოფლად მცხოვრები რესპონდენტები მცირე განსხვავებით უფრო ეთნონაციონალისტები არიან ქალაქელებთან შედარებით, თუკი არ ჩავთვლით ქალაქელ ბიზნესმენებს, როგორც გამონაკლისს იხილეთ (D5.3 ჰისტოგრამა).

ჰისტოგრამა D5.1



ჰისტოგრამა D5.2



ჰისტოგრამა D5.3



დასაქმებული ოჯახის წევრების რაოდენობა

აღნიშნული ცვლადის საფუძველზე შემდეგი სახის ტენდენცია გამოიკვეთა - მაგალითად, ქსენოფობიური განწყობის კუთხით უფრო გამოირჩევიან ისეთი რესპონდენტები, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ და ოჯახში ჰყავთ ერთი, ორი, სამი და მეტი დასაქმებული წვერი, თუმცა ყველაზე მაღალი ქსენოფობიის მაჩვენებელი ქალაქად მცხოვრებ რესპონდენტებში, რომლის არცერთი წვერი (მისი ჩათვლით) დასაქმებული არაა - დაახლოებით 4,1 ქულა (იხილეთ D6.1 ჰისტოგრამა).

ეთნონაციონალისტური მიდრეკილებებით სოფლად მცხოვრები რესპონდენტები უფრო გამოირჩევიან და, განსაკუთრებით ისინი, ვის ოჯახშიც ან არავინ, ან ერთი ადამიანი მაინცაა დასაქმებული - 5 ქულა ორივეგან (იხილეთ D6.2 ჰისტოგრამა).

ეთნონაციონალისტურთან ერთად, ეთნოცენტრისტული განწყობები სოფლად მცხოვრებ რესპონდენტებს უფრო ახასიათებთ - შესამჩნევია ის ფაქტი, რომ ერთდასაქმებულიან ოჯახში უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, ვიდრე ოჯახში, სადაც ორია დასაქმებული - 4,3 და 3 ქულა. ყველაზე ნაკლები ქულა ეთნოცენტრიზმის განწყობის მქონე ქალაქელ რესპონდენტებშია, ოჯახში ორი დასაქმებულით - 2,6 ქულა (იხილეთ D6.3 ჰისტოგრამა).

ჰისტოგრამა D6.1



ჰისტოგრამა D6.2



ჰისტოგრამა D6.3



დასკვნა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გორის მუნიციპალიტეტში ნატივისტური შეხედულებები გამოვლენილია, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ შემუშავებული კომბინირებული კითხვარის ქულების განაწილება შესაბამის ჰისტოგრამებზე. განსაკუთრებით მაღალი ნატივისტური განწყობები ფიქსირდება საშუალო და უფროსი ასაკის რესპონდენტებში, ქალებში, მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმსარებლებში და სრული საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე პირებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ნატივიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ დაბალი განათლებისა ან ეკონომიკური მარგინალიზაციის მქონე ჯგუფებით. მნიშვნელოვან მიგნებებად შეიძლება მივიჩნიოთ ტენდენცია, რის თანახმადაც კერძო ბიზნესისა თუ ნაკვეთების მფლობელი პირები შედარებით ნაკლებ ნატივისტური შეხედულების მქონენი არიან. აგრეთვე საინტერესო მიგნებაა უმუშევართა და დასაქმებულთა შეხედულებების თანხვედრა გარკვეულ კატეგორიებში. ცალკე არის გამოსაყოფი ასაკობრივი ცვლადი - ვინაიდან იყო მოლოდინი, რომ თაობათშორისო განსხვავებები ასე თუ ისე მახასიათებელია ხშირად ასაკიდან გამომდინარე, ეს ჰიპოთეზა ნაწილობრივ გამართლდა, რადგან ასაკობრივი განსხვავება უფრო გამოვლინდა დასახლების ტიპიდან გამომდინარე, ვიდრე მოსალოდნელი თაობათშორისი შეხედულებრივი განსხვავებებიდან.

მეორე ჰიპოთეზას რაც შეეხება, შეგვიძლია იგი მცდარად მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში ქალაქისა და სოფლის რესპონდენტების პასუხები ერთმანეთთან თანხვედრაში მოდიოდა, დაფიქსირდა მრავალი მკაფიოდ გამიჯნული კატეგორია, რომლებიც ასახავს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის შეხედულებების ცალსახა განსხვავებებსაც, რის საფუძველზეც ვასკვნით, რომ მეორე ჰიპოტეზა არ გამართლდა.

გამოყენებული ლიტერატურა

არაბული, ნ. (2023, August 7). *2008 წლის ომი და ომის შედეგები რიცხვებში*. რადიო თავისუფლება. https://shorturl.at/KrqRI

აფციაური, გ. (2022, June 8). *საოკუპაციო ღობით გაყოფილი ეზო - აქტიური „ბორდერიზაცია“ შიდა ქართლში*. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/31889181.html

ტაბატაძე, ს. (2021). მემარჯვენე რადიკალიზმის და ექსტრემიზმის ცნებები: ძირითადი მიდგომები და ქართულენოვანი ლიტერატურის ანალიზი. *პოლიტიკა*, *5*(5). https://psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/261

ტაბატაძე, ს. (2020). ულტრამემარჯვენე გაერთიანებების პოლიტიკური პოზიციები თანამედროვე საქართველოში. *პოლიტიკა*, *4*(2).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2022, 24 მაისი). *აღდგენილია აშკარაა დაუსჯელობისა და ხელისუფლების ლოიალობის ნიშნები ალტ-ინფოსა და კონსერვატიული მოძრაობის ლიდერების მიმართ*. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. https://socialjustice.org.ge/ka/products/ashkaraa-dausjelobisa-da-khelisuflebis-loialobis-nishnebi-alt-infosa-da-konservatiuli-modzraobis-liderebis-mimart

Abou-Chadi, T., & Krause, W. (2018). The Causal Effect of Radical Right Success on Mainstream Parties' Policy Positions: A Regression Discontinuity Approach. *British Journal of Political Science*, *50*(3), 829–847. https://doi.org/10.1017/s0007123418000029

Becker, M., Flach, J., & von Ondarza, N. (2025). *The creeping integration of far-right parties in Europe: Where far-right parties are integrated into the EU system and where they are not* (SWP Comment No. 39). Stiftung Wissenschaft und Politik.https://doi.org/10.18449/2025C39

Hasselbach, C. (2025, June 12). *Far-right parties surge across Europe*. Dw.com; Deutsche Welle. https://www.dw.com/en/far-right-populists-eu-germany-afd/a-72888389

Lory, G. (2024, December 24). *European political landscape shifts right in 2024*. Euronews; Euronews.com. https://www.euronews.com/my-europe/2024/12/24/european-political-landscape-shifts-right-in-2024-as-far-right-gains-ground

Mudde, C. (2007). *Populist Radical Right Parties in Europe*. Cambridge University Press.

Mudde, C. (2010). The Populist Radical Right: A Pathological Normalcy. *West European Politics*, *33*(6), 1167–1186.

Mudde, C. (2019). *The far right today*. Polity Press.

Neto, J., & Neto, F. (2022). *Ethnocentrism: A short form measure (SFGENE-7)*. SAGE Open, 12(2), 1–12.https://doi.org/10.1177/21582440221094589

OC Media. (2025, March 3). *Georgian extremist group Alt Info to register new political party*. OC Media. https://oc-media.org/georgian-extremist-group-alt-info-to-register-new-political-party/

Passuello, C. (2024, October 10). The rise of far-right movements in the EU: human rights at stake in the old continent? – Global Campus of Human Rights. *Gchumanrights.org*. https://www.gchumanrights.org/preparedness/the-rise-of-far-right-movements-in-the-eu-human-rights-at-stake-in-the-old-continent/

Thompson, J. (2021). Ethnonationalism and White immigration attitudes. *Nations and Nationalism*, *28*(1), 31–46. https://doi.org/10.1111/nana.12754

van der Veer, K., Yakushko, O., Ommundsen, R., & Higler, L. (2011). Cross-National Measure of Fear-Based Xenophobia: Development of a Cumulative Scale. *Psychological Reports*, *109*(1), 27–42. https://doi.org/10.2466/07.17.pr0.109.4.27-42

Welt, C. D. (2004). *Explaining ethnic conflict in the South Caucasus: Mountainous Karabagh, Abkhazia, and South Ossetia* (Doctoral dissertation, Massachusetts Institute of Technology). Massachusetts Institute of Technology. https://dspace.mit.edu/handle/1721.1/28757

დანართი N1 - საველე სამუშაოებზე გამოყენებული კითხვარი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კითხვარი სტუდენტური პროექტისთვის

1) რესპონდენტის სქესი

1. მამრობითი
2. მდედრობითი

2) რესპონდენტის ასაკი

1. 18-34
2. 35-54
3. 55+

3) რომელ რელიგიას ან აღმსარებლობას მიაკუთვნებთ თქვენს თავს?

1. მართლმადიდებლური ქრისტიანობა
2. სომხური სამოციქულო ეკლესია
3. შიიტური ისლამი
4. სუნიტური ისლამი
5. სხვა

6. არ ვიცი/უარი პასუხზე

7. არცერთი

4) ამ ბარათზე მოყვანილთაგან, რომელი შეესაბამება თქვენს მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალ საფეხურს?

1. დაწყებითი განათლების გარეშე

2. დაწყებითი განათლება

3. არასრული საშუალო განათლება

4. სრული საშუალო განათლება

5. არასრული უმაღლესი განათლება

6. უმაღლესი განათლება

7. სამეცნიერო ხარისხი

5) მხოლოდ თქვენი ძირითადი სამსახურის შესახებ თუ ვისაუბრებთ, რა უფრო შეესაბამება თქვენს სამსახურებრივ სტატუსს და სამსახურის ტიპს?

1. არა

2. ვარ დაქირავებული მუშაკი საშუალო ან დიდი ზომის ადგილობრივ კერძო ორგანიზაციაში, კომპანიაში ან საწარმოში.

3. ვარ დაქირავებული მუშაკი სახელმწიფო ორგანიზაციაში, კომპანიაში ან საწარმოში.

4. ვუძღვები საკუთარ ბიზნესს / ვარ თვითდასაქმებული დაქირავებული თანამშრომლების გარეშე, მიწის ნაკვეთზე მუშაობის ჩათვლით.

5. ვარ დაქირავებული მუშაკი მცირე ადგილობრივ საოჯახო ბიზნესში / საოჯახო საწარმოში.

6. ვუძღვები საკუთარ ბიზნესს / ვარ თვითდასაქმებული და მყავს დაქირავებული თანამშრომლები, მიწის ნაკვეთზე მუშაობის ჩათვლით.

7. ვარ დაქირავებული მუშაკი უცხოურ ან საერთაშორისო ორგანიზაციაში, კომპანიაში, საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში.

8. ვარ დაქირავებული მუშაკი ადგილობრივ ან საერთაშორისო არასამთავრობო / არაკომერციულ ორგანიზაციაში.

9. სხვა

10. არ ვიცი/უარი პასუხზე

6) თქვენი ოჯახის რამდენი წევრია ამჟამად დასაქმებული (თქვენი ჩათვლით)? ეს შეიძლება იყოს დასაქმება სრულ ან ნახევარ განაკვეთზე, ფორმალური ან არაფორმალური დასაქმება, მთავარია ფულადი შემოსავალი ჰქონდეთ

1. ნული

2. ერთი

3. ორი

4. სამი და მეტი

5. არ ვიცი

6. უარი პასუხზე

ძირითადი ბლოკი

X1 იმიგრაცია ამ ქვეყანაში კონტროლს მიღმაა

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

X2 იმიგრანტები იწვევენ კრიმინალის ზრდას

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

X3 იმიგრანტები იკავებენ იმათ სამსახურებს, ვინც უკვე აქ არიან

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

X4 იმიგრანტებთან ურთიერთობა ჩემთვის უსიამოვნოა

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

X5 ვშიშობ, რომ იმიგრანტებს შეუძლიათ იშვიათი დაავადებების გავრცელება

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

X6 ვშიშობ, რომ ომის ან პოლიტიკური დაძაბულობისას, იმიგრანტები თავიანთი წარმომავლობის ქვეყნის ერთგულები იქნებიან

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

X7 გაზრდილი იმიგრაციის მაჩვენებლის ფონზე ვშიშობ, რომ ჩვენი ცხოვრება უარესობისკენ წავა.

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

X8 მეეჭვება, რომ იმიგრანტები ამ ქვეყნის ინტერესებს პირველ ადგილზე დააყენებენ

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

X9 ვშიშობ, რომ გაზრდილი იმიგრაციით ჩვენი, საკუთარი კულტურა დაიკარგება

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

N3

ETC1 არ ვთანამშრომლობ განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებთან

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC2 არ ვენდობი განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC3 არ მომწონს განსხვავებული კულტურის მქონე ხალხთან ურთიერთობა

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC4 სხვა კულტურის ხალხებმა უნდა სცადონ და დაემსგავსონ ჩემს კულტურას

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC5 ადამიანების უმეტესობა იქნებოდნენ ბედნიერი, თუ ჩემი კულტურის ხალხებივით იცხოვრებდნენ

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC5 ჩემი კულტურის ხალხს აქვს ყველაზე მაგარი ცხოვრების წესი სხვადასხვა კულტურის ხალხებს შორის

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC7 ჩემი კულტურა უნდა იყოს მისაბაძი სხვა კულტურებისთვის

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC8 სხვა კულტურების უმეტესობა ჩემს კულტურას ჩამორჩება

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC9 სხვა კულტურებში ხალხთა უმეტესობამ არ იცის, რა არის კარგი მათთვის

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC10 მე პატივს ვცემ სხვა კულტურების ღირებულებებსა და მახასიათებლებს

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC11 მე მცირედით პატივს ვცემ სხვა კულტურების ღირებულებებსა და მახასიათებლებს

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC12 სხვა კულტურებში ცხოვრების წესი ისეთივე მისაღებია, როგორც ჩემს კულტურაში

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC13 სხვა კულტურებისათვის კარგი იქნება, ჩვენს კულტურას მიბაძონ

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC14 სხვა კულტურების ცხოვრების წესი ისეთივე მისაღები არ არის, როგორც ჩემს კულტურაში

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ETC15 ჩემი კულტურის ხალხს შეეძლოთ, ესწავლათ ბევრი რამ სხვა ხალხის კულტურებისგან.

1 □ 2 □ 3 □ 4 □ 5 □ 6 □ 7 □ 8 □ 9 □ 98 □

ეთნონაციონალიზმი

ETN1 იმისათვის რომ ნამდვილი ქართველი იყო, ქართული წარმომავლობა უნდა გქონდეს

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

ETN2 იმისათვის რომ ნამდვილი ქართველი იყო, მნიშვნელოვანია საქართველოში იყო დაბადებული

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

ETN3 იმისათვის რომ ნამდვილი ქართველი იყო, ქართულად უნდა საუბრობდე

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●

ETN4 იმისათვის რომ ნამდვილი ქართველი იყო, ქართულ ტრადიციებს/ღირებულებებს უნდა იზიარებდე

ძალიან ვეწინააღმდეგები	ვეწინააღმდეგები	არ ვიცი/უარი	ვეთანხმები	ძალიან ვეთანხმები
1●	2 ●	3 ●	4 ●	5 ●